საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

შპს ,,საქცემენტი"-ს დირექტორის
ემზარ შეყლაშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

თქვენი №2550/1, 11.03.2019 წერილის პასუხად შპს ,,საქცემენტი" წარმოგიდგენთ დამატებით ინფორმაციას აღნიშნულ წერილში დასმული საკითხების დაზუსტების მიზნით წერილზე დანართის სახით.

დანართი 1. ინფორმაცია საწარმოში გამოყენებული წყლის, სახიფათო ნარჩენების, უახლოესი საწარმოების შესახებ - ნაბეჭდი ვერსია - 2 ფურცლად
2. ინფორმაცია ტერიტორიის საკუთრების ან იჯარით სარგებლობის შესახებ- ნაბეჭდი ვერსია - 4 ფურცლად
3. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან- ნაბეჭდი ვერსია - 2 ფურცლად
4. წერილი №2550/1, 11.03.2019, - ნაბეჭდი ვერსია - 1 ფურცლად

პატივისცემით,
დირექტორი /ე. შეყლაშვილი/

ქ. მარნეული , აღმაშენებლის ქ. N 1
giorgi.13@mail.ru
საკონტაქტო პირი
გურამ ბექაური 5 92 24 54 94

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 4881
01" 04 2019
19 წ.
ადმინისტრაციული დეპარტამენტი + 02 + სოფლისმეურნეობა

ინფორმაცია საწარმოში გამოყენებული წყლის, სახიფათო ნარჩენების, უახლოესი საწარმოების შესახებ

1. **საწარმოში გამოყენებული წყალი.**

წყლის გამოყენებას ადგილი ექნება ბეტონისა და სამშენებლო ბლოკის წარმოებაში. აღნიშნული მიზნებისათვის გამოყენებული წყლის მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება შეადგენდეს 400ტონა/წელს.

ასევე წყლის მოხმარებას ადგილი ექნება ჰიგიენური მიზნებით, რომლის მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება შეადგენდეს 120ტონა წელს.

წყალაღება პირველ ეტაპზე მოხდება ადგილობრივი ცენტრალური წყალმომარაგების სისტემის უახლოესი ქსელიდან ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც საწარმოდან 350 მეტრითაა დაშორებული. იმასთან დაკავშირებით, რომ რაიონს წყალი გრაფიკით მიეწოდება, დამონტაჟდება 1,5-2 $მ^3$ მოცულობის რეზერვუარი, ხოლო მომავალში დაგეგმილი გვაქვს ჭაბურღილის მოწყობა.

სამეწარმეო საქმიანობის შედეგად ნახმარი წყლის წარმოქმნას ადგილი არ ექნება, ხოლო ჰიგიენური მიზნებისათვის გამოყენებული დაბინძურებული წყლის ჩაშვება მოხდება საასენიზაციო ორმოში, რომლის მაქსიმალური რაოდენობა შესაძლებელია იყოს 100-110$მ^3$ წლიურად. მისი გატანა მოხდება შესაბამისი სამსახურის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე.

2. **ინფორმაცია სახიფათო ნარჩენების შესახებ.**

საწარმოს მოწყობის ეტაპზე შესასრულებელი სამუშაოები შემოიფარგლება დაზიანებული კარ-ფანჯრების აღდგენით, სანიტარიული კვანძის მოწყობით, ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემის მოწყობით, რაც შესრულებული იქნება კონტრაქტორი კომპანიის მიერ. შენობის რაიმე სახის კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები, სადაც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს საღებავი ან სხვა ისეთი მასალა, რომლის გამოყენების შედეგად შესაძლებელია სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, არ შესრულდება.

რაც შეეხება საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპს - დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ამ ეტაპზე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

3. ინფორმაცია უახლოესი საწარმოების შესახებ.

1. საწარმოდან სამხრეთით, აღმაშენებლის ქ.#1, განთავსებულია შპს ,,ნიუ მოტორსი"(425357507)-ს ტერიტორია(ს/კ 83.20.05.424), რომელიც უშუალოდ ესაზღვრება საპროექტო ტერიტორიას. სამეწარმეო საქმიანობა არ ხორციელდება.

2. საწარმოდან აღმოსავლეთით, აღმაშენებლის ქ.#1, განთავსებულია სს ,,მარნეულის სასურსათო კომბინატი"(234158461)-ს ტერიტორია(ს/კ 83.20.05.423), რომელიც უშუალოდ ესაზღვრება საპროექტო ტერიტორიას. ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების წარმოება.

3. საწარმოს ჩრდილო-აღმოსავლეთით, აღმაშენებლის ქ.#1, განთავსებულია შპს ,,მარნეულის სასურსათო ქარხანა"(234232960)-ის ტერიტორია(ს/კ 83.20.05.051). საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 150მ-ით. ფქვილის წარმოება.

4. საწარმოდან ჩრდილო-დასავლეთით, იაღლუჯის ქ.#5, განთავსებულია შპს ,,ნავთობბაზა"(434161186)-ს ტერიტორია(ს/კ 83.20.01.429), რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 340მ-ით. არ ფუნქციონირებს, განხორციელებულია რეზერვუარების დემონტაჟი.

5. საწარმოდან ჩრდილო-დასავლეთით, მის. იაღლუჯის დასახლება, განთავსებულია შპს ,,ფირმა ლომთაგორა"(234160136)-ს ტერიტორია(ს/კ 83.20.01.434), რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 555მ-ით. ფუნქციონირებს მეცხოველეობის ფერმა.

6. საწარმოდან სამხრეთით, მის. ქ. მარნეული, სადგური, განთავსებულია შპს ,,რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი"(202460103)-ს საფირმო სახელწოდება: შპს ,,ჯიარ ქონების მართვა" ტერიტორია(ს/კ 83.20.01.614), რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 260მ-ით. ტერიტორია წარმოადგენს შპს ,,საქართველოს რკინიგზა"-ის საკუთრებას. განთავსებული იყო სარემონტო სადგური. ამჟამად არ ფუნქციონირებს.

7. საწარმოდან სამხრეთ-დასავლეთით, მის. იაღლუჯის ქ.#23, განთავსებულია შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი"(202403121)-ს ტერიტორია(ს/კ 83.20.04.303), რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 380მ-ით. განთავსებულია შპს ,,სოკარ ჯორჯია გაზი"-ს ოფისი.

8. საწარმოდან სამხრეთ-დასავლეთით, მის. მარნეული, სოფ. ალგეთი, განთავსებულია ი.მ. ,,რაშიდ მამედოვი"(28001069594)-ს მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების მწარმოებელი საწარმო, რომელიც არ ფუნქციონირებს. ტერიტორია(ს/კ 83.20.01.468), საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 270მ-ით.

9. საწარმოდან აღმოსავლეთით, მის. მარნეული, იაღლუჯის მთის მიმდებარე ტერიტორია, განთავსებულია შპს ,,აგროსისტემები"(203842342)-ს ფქვილის მწარმოებელი საწარმო. ტერიტორია(ს/კ 83.20.05.096), საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 300მ-ით.

10. საწარმოდან სამხრეთ-დასავლეთით, მის. მარნეული, ტმც-ის ადმინისტრაციული ტერიტორიის ტექნიკური ზონა, განთავსებულია შპს საქართველოს მელიორაცია (204524568)-ის ოფისი. ტერიტორია(ს/კ 83.20.05.088), საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 320მ-ით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქცემენტი"-ს

ს/ს 434174564

წესდება/პარტნიორთა შეთანხმება

მუხლი 1

ზოგადი დებულებები

1.1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქცემენტი" წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ"საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს.

1.2. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.3. საწარმოს სახელწოდება/საფირმო სახელწოდება: „საქცემენტი".

1.4. საწარმოს სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შპს

1.5. საწარმოს იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი მარნეული, ქუჩა აღმაშენებელი, #1.

1.6. საწარმოს პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.

1.7. საზოგადოების საქმიანობის საგანი: პროდუქციის წარმოება.

1.8. საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

მუხლი 2

საზოგადოების დამფუძნებლები

2.1. საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან:

შპს „ნიუ მოტორსი" რეგისტრირებული 08/06/2011 წ. ს/კ 425357507

პარტნიორთა წილები კაპიტალში განისაზღვრა შემდეგნაირად:

შპს „ნიუ მოტორსი" ს/კ 425357507 – 100 % წილი.

2.2 საზოგადოებაში შენატანი არის, არაფულადი შენატანი, კერძოდ:

-მარნეული, აღმაშენებლის #1, 00000 კვ.მ შენობა ნაგებობა და მასზე დამაგრებული 10560 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ღირებულება - 81525,4 (ოთხმოცდაერთიათასხუთასოცდახუთი და 40) ლარი. ს/ს 83.20.05.410

-მარნეული, აღმაშენებლის # 1, 5557 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ღირებულება - 18200 (თვრამეტიათასორასი და 00) ლარი. ს/ს 83.20.05.424

-ცემენტის ქარხანა (ცემენტის ტუმბო, შესაფუთი დანადგარი, ხრახნიანი კონვეერი, ცემენტის წისქვილი, ცემენტის წისქვილის მიმწოდებელი, მტვრის შემგროვებელი მოწყობილობა). ღირებულება - 267170 (ორასსამოცდაშვიათასასსამოცდაათი და 00) ლარი.

მუხლი 3

საზოგადოების მართვა

3.1. საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება;

3.2. პარტნიორთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. საწარმოს ყოველ პარტნიორს ან/და დირექტორს, შეუძლია ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება ყველა პარტნიორისათვის დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში პარტნიორებს შეუძლიათ დამატებათა შეტანა დღის წესრიგში.

3.3. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც კი, თუ მასზე არ გამოცხადდება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები).

3.4. პარტნიორთა კრების მონაწილენი თავიანთი შემადგენლობიდან ხმების უბრალო უმრავლესობით ირჩევენ თავმჯდომარეს. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების მიღებისთანავე თავმჯდომარე ადგენს და ხელს აწერს კრების ოქმს.

3.5. თუ გადაწყვეტილება შეეხება საზოგადოებასა და ერთ-ერთ პარტნიორს შორის დავას, მაშინ ამ პარტნიორს ხმის უფლება არა აქვს.

3.6. პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

ა) წარმოების სახეობისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;

ბ) საწარმოს სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებსა და წესდებაში ცვლილებების მიღება;

გ) ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;

დ) ინვესტიციების შესახებ, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;

ე) ვალდებულებათა აღება, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;

ვ) ვალდებულებათა უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას და რომელთა ღირებულება აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;

ზ) პროკურის გაცემა და გაუქმება;

თ) წლიური შედეგების დამტკიცება;

ი) აუდიტორის არჩევა;

კ) საწარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

ლ) ხელმძღვანელ პირთათვის მოგებასა და საერთო შემოსავალში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრა;

მ) იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე აქვს დირექტორის ან/და პარტნიორის მიმართ, ასევე საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი დირექტორების წინააღმდეგ წარმართავს;

ნ) შენატანების მოთხოვნა;

ო) დამატებითი შენატანების უკან დაბრუნება;

პ) დირექტორების დანიშვნა და გამოწვევა, მათთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, აგრეთვე მათი ანგარიშების დამტკიცება;

ჟ) სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

რ) ახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

3.7. ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას.

3.8. კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როცა ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს. წერილობითი თანხმობა კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად.

3.9. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება მიიღება მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ „მეწარმეთა შესახებ" კანონით გათვალისწინებული არ არის გადაწყვეტილების ერთხმად მიღება და, თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისათვის ანდა არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს.

3.10. პარტნიორთა საერთო კრებაზე პარტნიორებს აქვთ მათი წილის პროპორციული ხმათა რაოდენობა.

3.11. პარტნიორთა კრების, გადაწყვეტილებათა გასაჩივრება შესაძლებელია შესაბამისი ოქმის შედგენიდან 2 თვის ვადაში,ხოლო თუ კრება (სხდომა) მოწვეულ იქნა ან ჩატარდა კანონის ან წესდების ნორმათა უხეში დარღვევით, ამ შემთხვევაში გასაჩივრება დასაშვებია ერთი წლის ვადაში.

ნუსხა სამმენ
წევნული სა
№774
ალონარა

მუხლი 4

საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

4.1 საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს.

4.2 დირექტორი საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად, ის უნდა მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ის ჯეროვნად არ შეასრულებს აღნიშნულ მოვალეობას, პასუხს აგებს კომპანიის წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პირადად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

4.3 დირექტორის ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებას.

4.4 დირექტორის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

4.5 ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირებს არა აქვთ უფლება, პარტნიორების თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება, ან მონაწილეობა მიიღონ მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში როგორც პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა.

4.6 საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება საწარმოს დირექტორს. ეს ვალდებულება არ ზღუდავს პარტნიორის (პარტნიორების) და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ან სხვა დაინტერესებული პირების უფლებამოსილებას, უზრუნველყონ ცვლილების რეგისტრაცია.

მუხლი 5

პარტნიორის უფლებები და მოვალეობები

5.1. საზოგადოების პარტნიორს გააჩნია შემდეგი უფლებები:

ა) მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში;

ბ) კონტროლი გაუწიოს საზოგადოების ხელმძღვანელობას;

გ) საზოგადოების მოგებიდან მიიღოს კუთვნილი წილი საზოგადოების კაპიტალში საკუთარი წილის პროპორციულად.

დ) შეუძლია პირადად გაეცნოს საზოგადოების საქმეებს და ამ მიზნით საზოგადოების წიგნები და ჩანაწერები.

ე) მოსთხოვოს სხვა პარტნიორებს საზოგადოების მიმართ არსებულ ვალდებულებათა შესრულება და ამ შესრულების გამო საკუთარი სახელით წარადგინოს სარჩელი.

ვ) უპირატესი შესყიდვის უფლება "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 46[1] მუხლის შესაბამისად.

საქართველოს
კანონი
_ 201 წ.

მუხლი 6

საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

6.1. საზოგადოების ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია შესაძლებელია პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.

6.2. სუბიექტის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დაგენილი წესით.

მუხლი 7

დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე წესდება (პარტნიორთა შეთანხმება) ძალაში შედის ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

7.2. თუ ამ წესდების (პარტნიორთა შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

7.3 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

შპს „ნიუ მოტორსი" ს/კ 425357507

ბ/ნ 100010005066

დირექტორი: გიორგი აბრამიშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის პრეზიდენტი სააგენტო
შპეციალი №774
თარიღი 25 მარტი 2019 წ.
რიგითი 4 ხელმოწერა

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19010177, 30/01/2019 14:31:51

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს საქცემენტი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	434174564
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	29/01/2019
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქალაქი მარნეული , ქუჩა აღმაშენებელი , N 1

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: giorgi.13@mail.ru

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 10001044504, ემზარ შეყლაშვილი

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
425357507, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ნიუ-მოტორსი	100%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საქართველო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 2550/01
11/03/2019

2550-01-2-201903111709

შპს „საქცემენტს"

ქ. მარნეული, აღმაშენებლის ქ. № 1

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 27 თებერვლის N 3087 წერილი, რომელიც ეხება ქ. მარნეულში ცემენტის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს გარკვეული საკითხები, კერძოდ :

- საწარმოს წყალმომარაგების და გამოყენებული წყლის შესახებ ინფორმაცია;
- ~~ინფორმაცია სახიფათო ნარჩენების შესახებ;~~
- ტერიტორიის საკუთრების ან იჯარით სარგებლობის შესახებ ინფორმაცია;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- უახლოესი საწარმოების შესახებ ინფორმაცია (მანძილების მითითებით).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას. დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენისთანავე სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაახლებს ადმინისტრაციულ წარმოებას გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე